



მომავალი თაობის კურსი მეცნიერებისაკენ

სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“-ს მიერ გამოცხადებული კონკურსის („მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი“) გამარჯვებული პროექტის („მომავალი თაობის კურსი მეცნიერებისაკენ“ # SPG-22-219) ფარგლებში დეკემბრის თვეში იგეგმება საბავშვო კონფერენცია, ქიმიითა და ფიზიკით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეთათვის.

კონფერენციის შესახებ

კონფერენციას დაესწრება საქართველოს სამი უნივერსიტეტის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიმართულებების წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმებიან ჩვენს დამსწრე საზოგადოებას. სტუმრის სტატუსით მოწვეული იქნება, საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტის - სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკოლოზ ჩიხრაძე, რომელიც ასევე მიესალმება აუდიტორიას.

საკონფერენციო თემატიკა:

- ქიმიის ცნებები და ამოცანები;
- გარემოსდაცვითი საკითხები;
- მეტალები და არამეტალები პერიოდულ სისტემაში. მათი ფიზიკური თვისებები. მეტალთა აქტიურობა;
- არაორგანული ნაერთები და მათი გამოყენების არეალი;
- ქიმიური რეაქცია და მისი მიმდინარეობის ნიშნები;
- ინდუსტრიაში გამოყენებადი მასალების და მათი თვისებები;
- ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური მოვლენები;
- ენერგოეფექტური მასალები (სამშენებლო მასალები და სხვ.)
- სხვა (მოსწავლის შერჩეული თემა)

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 8-11 კლასის მოსწავლეებს. რეგლამენტი შეადგენს 10 წუთს. საპრეზენტაციო მასალის რეკომენდირებული რაოდენობა 12-15 გვერდი (სლაიდი). გადმოგზავნის ბოლო ვადა 25 ნოემბერი.

აბსტრაქტები შეგიძლიათ გადმოგზავნოთ ფოსტაზე: E-mail: dfgts.tmi@gmail.com

კონფერენციის ბოლოს ყველა მოსწავლეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი და მათი ნამუშევრების (აბსტრაქტების) კრებული, ბეჭდური სახით. ასევე დამზადდება კონფერენციის მასალების ციფრული ვერსია.

კონფერენციის ჩატარების ადგილმდებარეობა: სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი 0186, ე.მინდელის ქ. 7

თარიღი (მითითებულ იმეილზე) გეცნობებათ მოგვიანებით.

საკონტაქტო პირები

სოფიკო კვინიკაძე, პროექტის ხელმძღვანელი
მობ. 599339197 E-mail: sophi.kvinikadze@gmail.com

თამარ იაშვილი, პროექტის კოორდინატორი
მობ.568749382 E-mail: tamuna123iashvili@gmail.com;

ნ ი მ უ შ ი

სათაური (გამოიყენეთ ფონტი Sylfaen, ზომა 12; Bold, Center)

გ. იაკობიძე¹, დ. ასანიძე²

¹ გ. იაკობიძე, კლასი, სკოლის დასახელება, ქალაქი (რაიონი, სოფელი) E-mail-ი

² დ. ასანიძე, კლასი, სკოლის დასახელება, ქალაქი (რაიონი, სოფელი) E-mail-ი

(გამოიყენეთ ფონტი Sylfaen, ზომა 11; Bold, Center)

გაფართოებული ანოტაცია (აბსტრაქტი) (≈800 სიტყვა). ანოტაცია არის საპრეზენტაციო თემატიკის შინაარსისა და მასში გადმოცემული კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის წყარო. სწორედ იგი განსაზღვრავს ინტერესს ნაშრომის მიმართ და, მაშასადამე, სურვილს, დაიწყო დისკუსია ავტორთან, გამოითხოვოს სტატიის სრული ტექსტი და ა.შ.

შესაძლებელია სურათის, ნახაზის, სქემის ან ცხრილის გამოყენება. ყველა ფოტო სურათი უნდა იყოს დასათაურებული (შრიფტის ზომა 11). გვერდის არეები (მარცხნივ, მარჯვნივ, ზემო და ქვემო არეები – 2 სმ, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,15); აბსტრაქტი უნდა შედგებოდეს 3 ძირითადი ნაწილისგან: შესავალი, ირითადი ნაწილი, დასკვნა.

ყველა აბსტრაქტს უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. აბსტრაქტები გადმოაგზავნეთ იმეილზე dfgts.tmi@gmail.com არაუგვიანეს 25 ნოემბრისა.

გამოყენებული ლიტერატურა (ნიმუში)

1. McDonalds, A. (1993). Practical methods for the apprehension and sustained containment of supernatural entities. In G. L. Yeager (Ed.), *Paranormal and occult studies: Case studies in application*(pp. 42–64). London: OtherWorld Books.
2. Sheril, R. D. (1956). *The terrifying future: Contemplating color television*. San Diego: Halstead.
3. Crackton, P. (1987). The Loonie: God's long-awaited gift to colourful pocket change? *Canadian Change*, 64(7), 34–37.
4. (გამოყენებული ლიტერატურის APA - სტილით გაფორმების წესი)